



## ხელშეკრულება

### პარტნიორული თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ

პოლონეთის რესპუბლიკის სამეფო – სადედაქალაქო ქალაქ კრაკოვსა (შემდგომში – „კრაკოვი“)

და

საქართველოს დედაქალაქ თბილისს

შორის

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

#### მუხლი 1

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს კრაკოვსა და თბილისს შორის არსებულ ურთიერთგაგებას და წარმოადგენს წინა წერილობითი და ზეპირი შეთანხმებების გაგრძელებას.

#### მუხლი 2

ორივე მხარისათვის სასარგებლო თანამშრომლობის განვითარების მიზნით, ქალაქი კრაკოვი და ქალაქი თბილისი ხელს შეუწყობენ მეგობრული ურთიერთობების განვითარებას წინა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ყველა დარგში.

### მუხლი 3

ხელშეკრულება პარტნიორული თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ არ აკისრებს მხარეებს ფინანსურ პასუხისმგებლობებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა პროექტის განხორციელების ხარჯებთან დაკავშირებით. ნებისმიერი პროექტი ინდივიდუალურად შეთანხმდება და განხორციელდება.

### მუხლი 4

4.1. ხელშეკრულება წარმოადგენს 2009 წლის 13 მაისსა და 2012 წლის 12 ივნისს ხელმოწერილი ხელშეკრულებების გაგრძელებას და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 4 მაისიდან 3 წლის ვადით.

4.2. ხელშეკრულება შესაძლებელია გაგრძელდეს 3 წლის ვადით, მხარეებს შორის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობითი განაცხადი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ ორივე მხარემ უნდა წარადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 3 თვით ადრე.

4.3. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაგრძელებაზე შემდგომი პერიოდითაც 4.2 პარაგრაფში მოცემული პროცედურების დაცვით.

4.4. ხელშეკრულება შესაძლებელია გაუქმებულ ან შეცვლილი იქნეს მხარეებს შორის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ხელმოწერილია ქალაქ კრაკოვში, 2015 წლის 4 მაისს, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, პოლონურ და ქართულ ენებზე.


ქალაქ კრაკოვის სახელით



იაჩეკ მაიხროვსკი

ქალაქ კრაკოვის მერი

ქალაქ თბილისის სახელით



დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მერი